**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ხვალემბისამბრ, ამ წელიწადსაც, 10 მაისს,
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"
გაჰმართავს
**მუშტაიდის ბაღში**

## ლატარია-ალეგრის

თავის ღონისძიებათა განსაძლიერებლად.

ვინც ინებებს დაეხმაროს საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირულობით, შეუძლიანთ შემოწირულობანი გამოუგზავნონ კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას—ავჭალის ქუჩა, საგინოვის სახლი, ანუ საზოგადოების კანცელარიას, რომელიც იმყოფება ბანკის ქარვასლაში.

---

სამზრუნველომ, ქ. ტფილისში მართლ-მადიდებელთა სასაფლაოს წმ. მოციქულთა სწორის ნინოს ტაძრის ალსაშენებლად დაარსებულმა, თავის კრების დროს, რომელიც ამ წლის 29 მარტს მოხდა, თავმჯდომარეობით გენერალ-ლეიტენანტის გრაფ ივანე დიმიტრის ძის ტატიშჩევისა, დაადგინა: რადგან სრულიად გაივსო საფლავებით ის ნაწილი კუკიის სასაფლაოსი, სადაც წინად იმარხებოდნენ მიცვალებულნი სათანადო ყურის უგდებლადა და უგეგმოდ, ასე რომ ამ ჟამად იმ ადგილას არა თუ ვერ ძალ-უძს გავლა საეკკლესიო პროცესსიას მიცვალებულითურთ, არამედ მარტო კაცსაც ძლივს შეუძლიან საფლავის ყორეებისა გამო გავლა, ამიტომ მოისპოს მიცვალებულთა დასაფლავება ხსენებულს ადგილას სასაფლაოისა და გამოეცხადოთ იმათ, ვისაც ადგილი აქვთ შემოზღუდული ამ ალაგას, რომ, თუ სურთ მიცვალებულების დასაფლავება იმ თავითვე დაჭერილსა და შემოღობილს ადგილებში, ამის ნება-რთვის მისაღებად უთუოდ საჭიროა, როგორც უკვე გამოცხადებული ჰქონდა სამზრუნველოს ადგილობრივს გაზეთებში, დროითვე წარუდგინონ სასაფლაოს ეკკლესიის მღვდელს მამა ი. ბერიძეს ცნობანი იმის შესახებ, რომ შემოზღუდული ადგილები იმათ ეკუთვნით. (3—3)

---

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აუწყებს ამხანაგობის წევრთ, რომელთაც 1891 წლის 1 დეკემბრამდე აქვთ გადახდილი სრულის პაის ფული, რომ მდგომარე წლის თიბათვის 15 რიცხვიდგან ამხანაგობის კანტორაში შეუძლიანთ მიიღონ წარსული ხვედრი მოგება (დივიდენდი). (3—0—1)


## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

3 მაისი

**ეჩმიაძინი.** დღეს ცხრა საათზედ დაიწყეს შეკრება დელეგატებმა, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ კანდიდატების ამორჩევაში. პატრიარქის სადგომში სულ 64 კაცს ელოდნენ. ლიტანია დაიწყო პატრიარქის მოადგილემ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა იერემიამ თანახლებით მთავრობის წარმომადგენელის ტაინი სოვეტნიკის პრიბილისა და სინოდის პროკურორის ყანჩელისა. ეკკლესიაში შესვლისათანავე დაიწყო ლიტურგია, რომლის შემდეგაც, 11 საათსა და 45 წუთზედ, ეპისკოპოსმა დაადგინა 26 საერო დელეგატი. ხვალ ეკკლესიაში გარეშეთა თანადაუსწრებლად დაასახელებენ ოთხს კანდიდატს. მთელი მონასტერი და ეზო მონასტრისა სავსე იყო ხალხით, რომელიც ლიტანიით წამოსვლის დროს პატრიარქის სადგომიდგან იძახდა: „გაუმარჯოს ხრიმიანს! კეცე ჰაირიქ!" ამავე დროს ხალხი ერთი-ერთმანეთს აწვდიდა სურათს ხრიმიანისას და წიგნაკს იმის შესახებ.

4 მაისი

**ეჩმიაძინი.** დღეს საკათოლიკოსო კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ ეპისკოპოსები: ხრიმიანი, იზმირლიანი, ხორენ მხითარიანი და იერემია იერუსალიმელი; სულ ყველანი ოსმალეთის სომხეთის ეპისკოპოსები არიან.

## ახალი ამბავი

*** ჩვენი „ქართული ამხანაგობა წიგნების ბეჭდვისა" თანდათან წინ მიდის და დღითი-დღე ჰმატულობს მის წევრთა რიცხვიც. ახლა „ამხანაგობის" წევრებად ვაჭრებიც ეწერებიან. ამ ცოტას ხანში, მაგალითად, როგორც შევიტყეთ, რამდენიმე ქართველი ვაჭარი ჩაწერილა ამ ამხანაგობის წევრად.

*** ამ ჟამად ზემოხსენებული „ამხანაგობა" ჰბეჭდავს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მეორე ტომს, რომელიც, როგორც შევიტყეთ, უნდა ბანკის კრებამდე მოასწროს.

*** ოდესიდგან ჩამოვიდნენ ტფილისში იქაურნი მკურნალნი ბ-ნი მაჩუტკოვსკი და ოთხნი კიდევ სხვანი. ამ მკურნალებმა გუშინ, 4 მაისს, ტფილისის მიხეილის სამკურნალო დაათვალიერეს. როგორც შევიტყეთ, ამ მკურნალთ განზრახვა აქვთ ბათუმში ზღვის პირად კერძო სამკურნალო დააარსონ.

*** კიდევ რამდენიმე ცნობა კალიის შესახებ. ტფილისის მაზრის უფროსი სწერს თავისს მოხსენებაში ბ-ნს გუბერნატორს, რომ ტფილისის მაზრაში კალია მოდებულია ყაზახის საზღვრიდგან ავჭალის საზოგადოებამდე მტკვარსა და იორს შუა, ტფილის-სიღნაღის გზა-ტკეცილის მარჯვენა მხარეს და მარჯვენა მხარესვე მდ. მტკვარისა, კოდა კუმისის დავაკებაზედ, იაღლუჯის უღელტეხილამდე. ეხლა კალიაზედ სულ 3,627 კაცი ჰმუშაობს. კალია ყაზახის მაზრიდგანაც გადმოდის ტფილისის მაზრაში და ეს გარემოება-კი ადმინისტრაციას იძულებულსა ჰყოფს, ხალხიც ბევრი დაიქირავოს და ფულიც მეტი დახარჯოს. ბ-ნ მაზრის უფროსის აზრით, წელს გაცილებით, ერთი-ორად მეტია კალია, ვიდრე შარშან იყო. სულ ცოტა, კალიასთან ბრძოლას წრეულს 17,414 მან. მოუნდებაო.

*** გუშინ, 4 მაისს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ავლაბარში, ვიღაც რკინის გზის სახელოსნოს მომუშავეს გეურქასა და მირზოევის ქარხანაში მყოფ არშაკ საიფოვს ჩხუბი მოუვიდათ გიორგი ზახაროვის ლუდხანაში და გეურქამ საიფოვი ჯიბის დანით მძიმედ დასჭრა მარცხენა გვერდში.

*** გუშინ-წინ, 3 მაისს, ღამის ათს საათზედ, იარმუკასთან ცხენები გაუგიჟდა მეეტლეს აბრამ ნონიაშვილს. ცხენებმა ეტლი გამოაქანეს იქიდგან კუკიისკენ. მეეტლე ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფრით შეიმაგრა. „ლონდონის" სასტუმროსთან გაქანებულ ეტლიდგან გადმოვარდა მეეტლე ეტლს, ქვეშ მოჰყვა და ისე საცოდავად გაისრისა, რომ ნახევარს საათს შემდეგ სული დალია.

*** კვირას, 3 მაისს, მუშტაიდის გვერდით ბაღში, რომელსაც სახელად „სტრელნა" ეწოდება, ბ-ნმა ნებიერიძემ ბ-ნთ აბაშიძისა, ადამიძისა და სხვა არტისტთა და სცენის მოყვარეთა დახმარებით ქართული წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს: ერთი მოქმედება ა. ცაგარლის დრამიდგან „მათიკო", ვოდევილი „იჭვიანია" და დივერტისმენტი. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა, თუმცა წვიმისა და ტალახის გამო ხალხი ნაკლებად დაესწრო. ბ-ნმა აბაშიძემა და ნებიერიძემ ბევრი აცინეს პატარა საზოგადოება. ბ-ნმა აბაშიძემ სომხური სცენა წაიკითხა და ბ-ნმა ნებიერიძემ გლეხური. ბ-ნმა ადამიძემაც ჩინებულად წაიკითხა რამდენიმე ლექსი.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება პრინცი კ. პ. ოლდენბურგელი, რომელიც ტფილისიდგან აბასთუმანს გაემგზავრება და იქ გაატარებს მთელს ზაფხულს. მისს უმაღლესობას პრინცს ოლდენბურგელს უკვე დაუჭერია აბასთუმანში საცხოვრებელი სახლი.

---

# ფელეტონი

## ჩვენი მთის ხალხი

საბიბლიოგრაფიო წერილი

თხზულებანი ალექსანდრე ყაზბეგისა. სამი ტომი. ტფილისი, 1891 წ.

### IV

არა საწყენად, არამედ სიმართლის გულისთვის უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი საზოგადოება ვერ არის შეჩვეული სათანადო კითხვას წიგნისას. ხშირად ჩვენი თანამემამულე კითხულობს წიგნს მხოლოდ დროების გასატარებლად და არა იმიტომ-რომ წაკითხული ასწონ-დასწონოს, ჩაუფიქრდეს აღწერილს, ავსა და კარგს, დააფასოს მისი ღირსებანი და რასმე სახელმძღვანელო აზრს დაადგეს. ამიტომაც მეფიქრება, რომ ბევრი ქართველ მკითხველთაგანი ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელს" ჩააბულბულებდა ბოლომდე და გათავებისას იტყოდა: იჰ, რა გულ-გასაყოლებელი ზღაპარი დაუწერია, ვენაცვალე მის მარჯვენასო! მართლაც-და, ერთის შეხედვით, რაღაც დაუსრულებელს, დაუჯერებელს და ხერხიანად შედგენილს ზღაპარსა ჰგავს ეს მოთხრობა. მისნი მომქმედნი გმირნი სულ აქა-იქ ომსა და შეტაკებაში არიან. ხან სად ამოჰყოფენ თავს და ხან სად, აქ ერთს ჩაუსაფრდებიან, იქ ათსა და ოცს, ხან ერთს დაესხმიან თავსა და ხან მეორეს. აგერ სასიკვდილოდ დასჭრეს რომელიმე გმირი, მაგრამ იგი რაღაც სასწაულის ძალით ცოცხალი გადარჩება, თილისმიანისებრ მოიგდებინებს თავიდგან ჭრილობას და ისევ ის თომა—ისევ ის ტყავი. ერთის სიტყვით, ამ მოთხრობის შემთხვევანი რომ გაიხსენოთ ცალკცალკე, გეგონებათ, ალექსანდრე ყაზბეგი მოცლილი ყოფილა და ერთი დაუჯერებელი ამბავი მიუყოლებია მეორისთვის, აუსხამს ერთად, გადაუბამს მოხერხებით და წარუდგენია მკითხველთათვის — აჰა, როდესაც გუნებაზედ ვერ იყოთ, წაიკითხეთ და გაერთობითო.

ჩვენის აზრით-კი, ძლიერ შემცდარი უნდა იყოს მკითხველი, რომელიც ზღაპარში ჩამოართმევს ავტორს ამ მოთხრობას. გულ-დასმით, ყურადღებით ჩააკვირდით „მამის მკვლელს", უპოვნეთ ავტორს ის გზა-მაჩვენებელი დედა-აზრი, ის ძაფი, რომელზედაც აუსხამს თითოეული მძივი ამ მოთხრობისა, და მაშინ გაიგებთ, რა ცოტად ჰგავს „მამის მკვლელი" ზღაპარს ან ისიც გულ-გასაყოლებელს, მიჰხვდებით, რა დიდი ცოდნა ცხოვრებისა, რა უშველებელი ნიჭი დაკვირვება-გამოძიებისა, რა შესანიშნავი ხელოვნება სურათების აკინძვისა, რა მოქალაქობრივი და საზოგადოებური გულის-ტკივილი არის თავი-თავს მოყრილი ამ ჩინებულს მოთხრობაში, რომელიც, მიუხედავად მის სიდიდისა, მკითხველთ ისე გვეპატარავება და გვენატრება, რომ ერთიათად მომეტებული და მოზრდილი იყოს.

„მამის მკვლელში" ავტორი გვიხატავს მთის ხალხის მდგომარეობას მაშინ, როდესაც მრავალნი სხვა-და-სხვა შემთხვევანი ხალხის ცხოვრებისა, ურთი-ერთი დამოკიდებულებანი, მრავალნი მოქმედებანი წინაამდეგ ურთი-ერთა უფლებისა აღარ განიხილებიან კვლავინდებურად, თემობით, როდესაც სამართალს აგებს არა რჩეული კრება თვით ხალხისა, თანახმად შეთვისებულ წესისა და ადათისა, არამედ აგებს დანიშნული მოხელე, რომელსაც ხალხის ცხოვრებისა არა გაეგება-რა და საქმე აქვს მხოლოდ იმ ქაღალდებთანა და განკარგულებებთან, რომელსაც გამოუგზავნიან უფროსები. მოთხრობაში გასაშტერებელის სინათლით არის გატარებული ის უიმედო ყოფა, რომელიც შედეგი იყო ხალხისათვის ამისთანა ცვლილებისა. დაუმატეთ, რომ ეს სამართლის საქმე შეუფარდებია ავტორს იმ დროისთვის, როდესაც განთქმული შამილი სასწაულს იჩენდა მთის მაჰმადიანთა თავისუფლების ბრძოლაში, და გაიგებთ, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენს მწერლობაში „მამის მკვლელს".

**

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ვიდრე ამ მოთხრობის დედა-აზრის განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა მოკლედ მაინც გავიხსენოთ მისი შინაარსი, იმიტომ რომ „მამის მკვლელი" დიდი თხზულებაა და შესაძლოა მკითხველს ყურადღება ვერ ეთხოვებინოს ბოლომდე იმ ძაფისთვის, რომელზედაც ასხმულია მრავალი თავგადასავალი მომქმედთა გმირთა; შესაძლოა ისე ასჭრელებოდეს თვალი დიდ-ძალის გადაბმულ-გადმობმულის ამბებით, რომ აღარ ახსოვდეს, რა ადგილას არის გამონასკვული კვანძი მოთხრობისა და ან როგორის ხერხითა სცდილობს ჩვენი ავტორი ამ კვანძის გამოხსნას.

აგერა ოჯახი მოხევე ონისე გელაშვილისა თავისის ცოლით მახიათი და ძმის-წულ ნუნუთი. ნუნუ გასათხოვარი ქალია. იმის მოხუცებულს მამას, მთხოვარა გლახას, მოუკლავს ერთი მოხელე და გადაკარგულა თავის სოფლიდგან. მისი საცხოვრებელი და ქალი ნუნუ დარჩენია ონისეს. ნუნუს უყვარს ახალგაზდა გლეხი იაგო, რომელიც თავისის მხრით გატაცებულია ნუნუს სიყვარულით. საუბედუროდ, ნუნუს სილამაზე თვალში მოსვლია „ხელმწიფის სამსახურში მყოფს" კაცს, ჩაფარს გივარგის. გივარგი ჯვარ-დაწერილია სხვაზედ, ცოლი გაგდებული ჰყავს და ჯვარის წერა არ შეუძლიან ნუნუზედ. გადასწყვეტს, შეჰრთოს ნუნუ თავისს ძმას ნინიას, რომელსაც ცოლის თავი არა აქვს, და თითონ იცხოვროს ნუნუსთან უკანონოდ. ამ გარდაწყვეტილებას არავის გაუმხელს. მიჰგზავნის შუაკაცებს

ბობენ, რომ ამ მოკლე ხანში აბასთუმნიდგან ზეკარის ხეობამდე გზატკეცილს გააკეთებენ და გააუმჯობესებენო.

*** ფინანსთა მინისტრის სურვილის გამო, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწემ გენერალ-ლეიტენანტმა გრაფმა ტატიშჩევმა თავისს მხრივ გამოაცხადა: რადგანაც ძლიერ სასურველია, რომ 1893 წ. გამოფენაზედ ჩიკაგოში კავკასიის ყოველ გვარი მრეწველობის განყოფილება იყოს, მაგალითად: ნავთისა, სამთო-მადნებისა, ბამბის მოყვანისა, აბრეშუმის მოყვანისა, ღვინის კეთებისა და სხვა, ამიტომ მივმართავ და ვსთხოვ გუბერნატორებსა, ოლქის უფროსებსა და სახელმწიფო დაწესებულებათა მმართველებს, ხელი შეუწყონ იმ მემამულეთა და მრეწველებს, ვისაც სურვილი აქვს გაგზავნოს რაიმე თვისი ნაწარმოები ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზედაო.

*** 1 მაისს საშენობო კომისიამ და რამდენმამე ხმოსანმა დაათვალიერეს ავჭალის წყლის მილის შენობები და მოწყობილება. კომისიამ აღმოაჩინა, რომ წყლის მილის ყველა მოწყობილება ამ ჟამად ძლიერ კარგს მდგომარეობაშიაო. გასინჯეს აგრეთვე წყლის დასაწმენდი მაშინები და აღმოჩნდა, რომ ეს მაშინები ისე კარგად სწმენდავს მღვრიე მტკვრის წყალსა, რომ ადამიანი ძნელად გაარჩევს თურმე ავჭალის წყაროს მტკვრის წყალისაგან.

*** ტფილისის მაზრის უფროსმა სთხოვა ქალაქის მმართველობას, 900 მანათი მომეცით ქალაქის ადგილებში კალიის გასაწყვეტადაო. ქალაქის მართველობამ ეს თხოვნა განიხილა და გადასწყვიტა, რომ ამ საქმისათვის 500 მანათი საკმარისი იქმნებაო. ტფილისის ქალაქის მოურავი 4 მაისს მოხსენებას წარუდგენს საბჭოს კრებას ამ ფულის შესახებ.

*** ამ ჟამად ტფილისის ამქრები უსტაბაშებს ირჩევენ. აქამდე ამორჩეულია 26 ამქრის უსტაბაში. დარჩენილია ამოსარჩევად კიდევ 55 ამქრის უსტაბაში.

*** მთიულეთი: 30 აპრილს შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა სოფელ ზემო-მლეთში: ერთი ახალგაზდა გლეხ-კაცი, გვარად ნაზღაიძე, ესე 24 წლისა, მოჰკლა მეხმა მინდორში. საცოდავი ისე იყო დასახიჩრებული, რომ გამწარებულმა მამამ კინაღამ ვეღარ იცნო, როცა გვამი ანახვეს თავისის შვილისა.

*** სიღნაღი: სიღნაღის ამბავს ნურც-კი იკითხავთ. კარგის საქმისათვის გვძინავს და ავისათვის ღამეც-კი ვფხიზლობთ. ამას წინად ერთს გლეხ-კაცს გასჭირებოდა სამი თუმანი და მიჰმართა ქალაქს, მაღლიანი ხალხია, ეგებ იქ მაინც გავიმართო ხელიო, და გაიმართა კიდეც. ერთმა ვაჭბატონმა და სისხლის მწოველმა მისცა სამი თუმანი და მთლად ყმად დაისახლა. სარგებელში თხუთმეტი ჩაფი კარგი თავი ღვინო ენკენისთვის გასულს მომეციო, სამი თუმანი ფულიც და თუ ერთი საათი გადააცილო, „ნეუსტოიკა“-ც სამი თუმანიო. $5^1/_2$ თთვეში თუ ერთი საათი გადააცილე, 90 მან. და თუ ყველზე მომიტანე—60 მან. წარმოადგინეო. ბაკურციხის დღე რომ დაადგეს იმ საცოდავს, ე. ი. დასეტყვოს იმის ვენახი, მაშინ? მაშინ რა, ყმაა და ყმა.

არც სოფლად არიან ნაკლები ხელის მომმართავნი. მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სიღნაღის წიგნების მაღაზიის ამხანაგობამ იკისრა, სადაც-კი ხელი მიუწვდებოდა, ხატობა-დღეობაში წაიღოს კაცობრიობის ტვინის ნაწარმოები წიგნები და გაავრცელოს ხალხში კითხვის სურვილი. მაგრამ, დახე ბედს, რომ სოფლის მოხელეობის გაუმაძღრობასა და ბასრ ბრჭყალებს ეკკლესიის ეზოებამდისაც მიუხწევია. ერთს ხატობაში გაშალა ი. ო—შვილმა წიგნები ერთის ეკკლესიის ეზოში და ელის მყიდველს, მაგრამ მყიდველის მაგიერ თავზედ წამოადგა ჩოხა-შემოკალთავებული მამასახლისი მრისხანედ ამ სიტყვებით: „ან ფული მომეცი, ან აიბარგე აქედგანაო“.—ბატონო, ჯერ არა გამიყიდნია-რა და, როდესაც გავყიდი, თუ-კი მართლა გეკუთვნით, მიიღებთო. არა, ეხლავე, ეხლავეო, და გამოართვა ცოტა იყო თუ ბევრი. ნუ თუ ასე უნდა დახმარება კეთილს საქმეს? ისიც ვისგან? მამასახლისისაგან, ნამეტნავად წიგნების გავრცელებაში.

სიღნაღში იაფობაა ყველაფრისა, ნამეტნავად ჩარჩებისათვის და არა მხმარებელთათვის. ეჰ, რა მოგახსენოთ, არც ნიხრი ნიხრობს აქა და არც მოწესე მოწესობს.

*** რუსეთის გაზეთებში, სხვათა შორის „Нов. Время“-ში, დაბეჭდილი იყო და ჩვენც გადმოვბეჭდეთ, რომ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ისეთი წესი შემოიღოს, რომლითაც იმ მოწაფეებს, ვისაც სწავლის ნიშანი ორთა შუა 4 ექნება, უეგზამენოდ გადიყვანენ შემდეგ კლასშიო. ეხლა გაზეთი „Рус. Вѣд.“ ამბობს, რომ ეს ამბავი ტყუილია და ნამდვილ წყაროდგან შევიტყეთ, რომ სამინისტროში ამ საგანზედ არავითარი სჯა არა ყოფილაო.

*** გაზეთი „Новости“ სწერს: „ამ ჟამად შემუშავებულია ახალი კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც მკურნალები და ბეითალები 3 თთვით დაპატიმრებით ან 300 მან. ჯარიმით დაისჯებიან, თუ მთავრობას არ შეატყობინეს, როცა მათ და მინდობილ მაზრაში რაიმე გადამდები სენი გაჩნდება“.

*** გაზეთს „Нов. Обоз“-ს შეუტყვია, რომ სომეხთა დრამატიულს დასს განზრახვა აქვს საოსმალეთო სომხეთის დელეგატებს ტფილისში წარმოდგენა გაუმართოს, როცა კათალიკოსის არჩევანები გათავდება და დელეგატები ეჩმიაძინიდგან ტფილისზედ გამოივლიანო.

*** იგივე გაზეთი სწერს: ტფილისის სომეხთა სასულიერო სემინარიის 1891 წლის ანგარიშიდგან სჩანს, რომ იმ წელს სემინარიას მიუღია 68,598 მან. დახარჯულია იმავე წლის განმავლობაში მხოლოდ 51,114 მან. ამას გარდა, სემინარიასა აქვს კიდევ 72,171 მანათი, რომელიც გარდაცვალებულმა ეფენდიევმა შესწირა ამ სემინარიას.

## ხმა პროვინციელისა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ეხლა, როდესაც სამეურნეო სწავლა-განათლების გავრცელების შესახებ ხმა მაღლა ჰღაღადებს მწერლობა და თავ-გამოდებით იღვწის მთავრობა, ჩვენ, უბრალო სიკვდილის შვილნიც, „პროფანებიც“-კი აშკარად ვხედავთ ასეთის განათლების აუცილებელს საჭიროებას ჩვენის ქვეყნისათვის... მართლაც, ამ ჩვენს საქართველოში, ხალხის თქმისა არ იყოს, დაუბერტყია ღმერთს თავისი უხვი კალთა, ჩვენი ქვეყანა მეტის-მეტად მდიდარია ბუნებით და რომელი დარგი გინდათ მეურნეობისა და მრეწველობისა, რომ ჩვენში არ იხეიროს, არ გაძლიერდეს და არ აჰყვავდეს, მაგრამ ჩვენ, ქართველები, მეტად ღარიბნი ვართ და საეკონომიო ქიდილში ძლივს გამოგვაქვს თავი იოლად.

მიზეზი ჩვენის ამისთანა ჩამორჩენილის მდგომარეობისა ბევრ ნაირია, მაგრამ, რასაკვირველია, ერთი უმთავრესი ის არის, რომ ვერა ვსარგებლობთ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრით ჩვენის უცოდინარობისა, უხერხულობისა და უენერგიობის გამო. ამიტომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში მოდიან ჩვენზედ უკეთ ცოდნითა და გამრჯელობით აღჭურვილნი უცხოელნი და ჩვენს საკუთარს ლუკმას გვაცლიან პირიდგან, თითონ მდიდრდებიან, ხოლო ჩვენ-კი, მკვიდრნი ქვეყნისა, ცარიელზედ ვრჩებით; ან არა-და, აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ქვეყნისა უნაყოფოდ და უსარგებლოდ ლპება და იღუპება ჩვენს ხელში.

აშკარაა, რომ ის ცოდნა, რომელიც გვასწავლის ჩვენის ქვეყნის ბუნებურ სიმდიდრის გამოყენებასა და მოხმარებას, საუკეთესო ცოდნად უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც დიდის სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ეხლანდელმა მემატიანემ დღევანდელი სურვილი ჩვენის საზოგადოებისა და მწერლობისა სამეურნეო განათლების გავრცელებისა ჩვენში.

ყოველ ამის მიუხედავად, ისეთის მხრისათვის, როგორიც არის ზოგიერთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა, საპროფესიონალო განათლების შემოღება მაშინ, როდესაც საზოგადო განათლებას ფეხი ვერ მოუკიდნია სრულიად, ჩვენ უდროოდ მიგვაჩნია და ეგ განათლება ვერ გაგვიმართლებს ყველა ჩვენს იმედს. ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა სპეციალს სამეურნეო სწავლა-განათლებას წინ უძღოდეს რიგიანი საზოგადო განათლება. უამისოდ პირველი საკმაო ნაყოფს ვერ გამოიღებს. „ამ ჟამად ყოველსავე ეჭვს გარეშეაო, რომ ყოველს სპეციალ განათლებას წინ უნდა უძღოდეს საზოგადო განათლებაო“, ამბობდა ჯერ ისევ ბარონი უსლარი[1]) და ეს სიტყვები ურიგო არ იქნება ეხლაც გავიხსენოთ.

ასეც უნდა იყოს: ჯერ უნდა დამზადდეს ნიადაგი სამეურნეო მოღვაწეობისათვის, მერე უნდა გაჩნდეს სამეურნეო განათლება მიღებულებში სურვილი ამ მიმართულებით მოქმედებისა და ბოლოს საქმე თავის თავად გაიჩალხება. ნიადაგი დამზადდესო, რომ ვამბობთ, ჩვენ სახეში გვაქვს სხვა-და-სხვა საეკონომიო და სოციალური ვითარება. როცა ასეთი ვითარება ხელს არ უწყობს მეურნეობას, მაშინ, რაც უნდა გამჭრიახი მეცადინე, განათლებული მეურნე იყოს კაცი, მაინც მისი მოქმედება ხეირიანს ნაყოფს ვერ გამოიღებს. «დროებით ვალდებულ გლეხებს ტფილისის გუბერნიისას არც-კი დაუწყიათ ნადელების შესყიდვა... და, თუმცა ბატონ-ყმობა დიდი ხანია გადავარდა, მაგრამ დღესაც სხვის მიწაში ოფლს აწვიმებენ»,; მეგრელს გლეხებს თავის ორ ციდა ნახევარ მიწისათვის, თუმცა გველის ხვრელ-

[1]) იხ. Этнографія Кавказа. Абхазскій языкъ. Изд. Кавказ. Учеб. округа (ст. Сбъ устройствѣ горскихъ школъ).

ონისესთან, მისცემს დიდს ურვათს (საცოლეს გამოსასყიდს), დაითანხმებს ონისესა და მახიას. ნუნუ წინააღმდეგია ამ კავშირისა, რადგან ნინიას მახინჯს ეძახის და იაგო-კი უყვარს. გივარგი და მახია პირობას შეჰკრავენ, რომ ჩაიგდონ დრო და შემთხვევა, რათა გივარგის შეეძლოს ნუნუს გატაცება. მანამდე-კი გივარგი დააჰერინებს, მდივანბეგის შემწეობით, იაგოს, რომელსაც ტყუილად დააბრალებენ ქურდობას, და ციხეში ჩაასმევინებს, რომ წინააღმდეგობა არ გაუწიოს იაგომ ქალის გატაცების დროს. ერთს დღეს სოფლის ქალები მარწყვის საკრებად წავიდნენ მთებში, ნუნუც თან გაჰყვა. მახიამ შეატყობინა გირგოლას, ანუ გივარგის, ესეც ჩაუსაფრდა ტყეში და შეპირებულ ოსთა დახმარებით გაიტაცა ნუნუ. ამ გატაცების დროს წააწყდა გირგოლას და მის კაცებს ახალგაზდა მოხევე კობა, რომელიც საშინლად ააღელვა ძალ-მომრეობამ, ქალზედ მიტანილმა, მიეშველა ნუნუს, დიდი წინააღმდეგობა გაუწია ავ-კაცებს და, მათის უსირცხვილობით დავიწყებამდე მისულს, შემოაკვდა ერთი ოსი. კობა ამის გამო უნდა გადაკარგულიყო სადმე, რომ კანონის სასჯელი აეცდინა თავიდგან. გირგოლამ ნუნუს ძალით დასწერა ჯვარი ნინიაზედ, მაგრამ ჯვარის-წერამ ვერ შეურიგა ნუნუ თავისს ბედს—იგი ახლოს არ იკარებდა ნინიას, რომელიც იტანჯა მთელი ორი თთვე და ბოლოს, დაღლილ-დაქანცული ზნეობით და ცოლ-ქმრობის სიამოვნების უნახაობით, წავიდა ისევ თავისს ცხვარში. ნუნუ დარჩა გირგოლას, რომელმაც მასზედ იხმარა საზიზღარი ძალმომრეობა და აჰხადა რძალს ნამუსი. ამასობაში კობა და მთიული ეფხია ციხიდგან გაიყვანენ იაგოს, რომელიც შეიტყობს ნუნუს თავ-გადასავალს. ეს სამი თავიდამ ხელ-აღებული ახალგაზდა გადასწყვეტენ ნუნუს გატაცებას და ჩაჩნების ქვეყანაში გახიზნვას, რომ იქ შევიდნენ შამილის ჯარში. იმ დროს შამილს მთა უცქეროდა როგორც მხსნელს ② მომნიჭებელს თავისუფლებისას. ამ გვარად ტანჯულს ნუნუს გამოუჩნდებიან მხსნელებად იაგო, კობა, ეფხია და წაიყვანენ საჩაჩნეთში, მაგრამ გირგოლა მათ დროზედ დაესხმის თავს პრავილის ყაზახით, დიდს ომს შემდეგ დასჭრიან იაგოს, მოკვდება რამდენიმე ყაზახი და ნუნუს-კი მაინც დაიბრუნებს გირგოლა სატანჯველად. ნუნუ მალე გაექცევა გირგოლას, დაიმალება და ბოლოს წავა კავკავში, სადაც შეეხიზნება თავისს მთხოვარა მამას. იაგო, კობა და ეფხია-კი შეუერთდებიან შამილის ჯარებს, იბრძვიან მის ბანაკში და ძლიერ გამწარებულნიც იბრძვიან ჯავრის ამოსაყრელად. ბოლოს რამდენსამე ჩაჩანთან ერთად შეადგენენ განცალკევებულს ბრბოს და ბევრს ზარალს აყენებენ თავიანთს მტრებს. ისინი გამოცხადებულნი არიან ყაჩაღებად და ჯილდოა დანიშნული, ვინც მათ შეიპყრობს, ან მოჰკლავს. ერთხელ ჩამოვა ეს ბრბო კავკავში. გირგოლა გაიგებს იმათს ბინას, შემოარტყმენ გარს ჯარებს და წაუკიდებენ ცეცხლს. ბინიდგან ესენი ბევრს ჯარის-კაცს მოჰკლავენ თოფით, მაგრამ ბოლოს თითონაც გაწყდებიან, ცოცხლები არა ჰმორჩილდებიან სამართალს. გადარჩება მხოლოდ კობა. გირგოლამ იცის, რომ ნუნუ მას არას გზით არ შეიყვარებს, და ჯავრის ამოსაყრელად მოჰკლავს მის მამას, გლახას, და მკვლელობას დააბრალებს ნუნუს, რომელსაც სამართალი იცნობს დამნაშავედ და შესაფერს სასჯელს მიუწყავს. ნუნუ ვერ აიტანს ამდენს ტანჯვას და სამარცხვინო ბოძთან დაჰლევს სულს. გირგოლა და მისი მდივანბეგი „ტროიკით“ დაბრუნდებიან ხევში. აქ დაჰხვდებათ კობა, რომელიც ერთის ტყვიით მდივანბეგსაც მოჰკლავს და გირგოლასაც.

**

ეს გახლავთ მთლიანად ის ჩონჩხი, რომელზედაც აშენებულია „მამის მკვლელი“. მაგრამ შეასხით ამ ჩონჩხს ხორცი, ჩამოასხით ყოველი მისი ასო უნაკლულო ყალიბზედ, მიანიჭეთ მათ ყაზიბეგისებურ ხელოვნებით სილამაზე და სიტურფე, შთაჰბერეთ ძლიერი სული ცხოვრებისა, სული მართალი, გული, თავისუფლების მოყვარე,—და თქვენ მიიღებთ უკეთეს მოთხრობათაგანს, რომელიც-კი შეუქმნია ჩვენს ნიჭიერს ავტორს. ამ მოთხრობაში თქვენს თვალს წინ გადაშლილია ათასი სხვა-და-სხვა სურათი ცხოვრებისა, რომელსაც აღონებს, აჰკნობს და სულსა ჰხუთავს სრულებით შეუფერებელი ახალი ხასიათი ხალხის ბედის მართვისა. თქვენა ჰხედავთ, როგორის სასოწარკვეთილებით ებრძვის თავის ბედს ჩვენი გულ-უბრყვილო, უეშმაკო, მაგრამ გულადი თანამემამულე და როგორ ჰხდება სული ამ უნაყოფო ბრძოლაში. ჰხედავთ, რომ სრულებით არ დაუმსახურნია ჩვენს ხალხს ასეთი სიმწვავე ბედისა, რომ ეს მშვიდი, გამრჯე და ნამუსიანი მთის ხალხი ღირსია უკეთესის ცხოვრებისა, რომ მთელი ზღვა მოვლენილის ტანჯვისა წარმომდგარია უსამართლობისაგან, მასა ჰკვებავს უგუნურობა, ხოლო დაუსრულებელს ბოროტებას მოჰყავს ეს ზღვა ისეთს მღელვარებაში, რომ თითო მისი გაშმაგებული ტალღა დაუნდობლად მიეზიდება უფსკრულში უთვალავს მსხვერპლს ჩვენის ცხოვრების გამრუდებისას.. ჰხედავ საშინელს ძლიერებას ამ ზვირთებისას; ჰგრძნობ, რომ მათი ძალა ნაფოტებად აქცევს თვით საუკეთესო გემებსაც-კი; იცი, რომ გაწვრთნილი მცურავიც ვერ უდგნობს ამ ზვირთებს რამდენსამე წამს, და ასეთი უვიცი, გამოუცდელი მცურავნი, როგორიც არიან საცოდავი ნუნუ, იაგო, კობა და ათასი მათი მგზავსი, ხომ უნდა იქმნენ შთანთქმულ სულიან-ხორციანად ერთის თვალის დახამხამებაზედ...

**

„მამის მკვლელში“ მთელი ყურადღება ჩვენის ავტორისა მიმართულია იმ უბედურებისკენ, რომელნიც

ში ძერებიან, მაინც ვერ გამოულე-ბინებით ნახევარ წლის სარჩო; ავბან გლეხთა შორის ჯერაც ვერ დამკვიდრებულა პირადი და ქონებრივი უშიშროება და მუშა-საქონელიც-კი არ არის უზრუნველ-ყოფილი ქურდობისა და ავაზაკებისაგან. ერთნიც, მეორენიც და მესამენიც უწყალოდ იყვლიფებიან ათას ნაირ ცრუ-მორწმუნეობის მეოხებით. ამისთანა გარემოებასა და ვითარებაში, რაც უნდა სამეურნეო სწავლა-განათლება მიაწოდოთ ხალხს, მაინც მეურნეობა მაგრად ფრთას ვერ გაშლის რიგიანად.

ჩვენ შეგვხვედრია თითო-ოროლა სამეურნეო სწავლა-განათლება მიღებულნი სოფლებად, მაგრამ მათი ყოფა სახარბიელო საქმედ ვერ მიგვიჩნევია. ვსთქვათ, კარგად განათლებულმა მეურნემ მოინდომა გონივრულის წესით მოშენება ფუტკრისა, გაშენება ვენახისა და სხ. ვინ მოსთვლის, რამდენი დაბრკოლება გადაეღობება ამისთანა მეურნეს ჩვენებურ სოფლების დღევანდელ ვითარების გამო.

სოფელში სულ სხვა წესია მამულის მოვლისა, სხვა ვადა დადებული მუშათათვის, ნასწავლი მეურნე-კი სხვა წესებს მისდევს, სხვა ვადის შემოღებასა სცდილობს და ამასობაში მისი ნაშრომ-ნალვაწი ხშირად სრულიად იღუპება ასეთის ერთ-ურთის საწინააღმდეგო წეს-რიგის გამო. კარგის ჯიშის საქონელი რომ მოაშენო, ორს დღეს არ დაგიყენებენ ქურდები. თითონ მეზობლებივე არ შეგარჩენენ. დაცინვას და სასაცილოდ აგდებას ხომ დასასრული არ ექნება: „ღვინის დაყენებას ჩვენ-კი ვერ მოვახერხებთო“, „ხეხილის მყნობა ჩვენ-კი არ ვიცითო“. ერთი-ორი მარცხი და გათავდა: ყველაფერში გაგათახსირებენ, „კარგი „პროშენიების“ დაწერა ესწავლა, ის არ ერჩივნა, პატარას მოგვეხმარებოდა რასმეო“. იქნება ყოველივე ესე წვრილმანებია, მაგრამ წვრილმანებისაგან შესდგება ჩვენი ცხოვრება და მათი სახეში მიუღებლობა არ შეიძლება. ძნელია, თუ საცა მიხვალ, იქაური ქუდი არ დაიხურე. თქმა ადვილია, სოფლად წასვლა, სოფლად მუშაობა ახალის წესით, მეცნიერების ჩვენებით და ხელმძღვანელობით.. საქმით-კი ყოველ ამის ასრულება ადვილი არ არის. ადვილი არ არის, არც იმიტომ-რომ შემოსავალი არა გექნება-რა და შიმშილ-წყურვილი მოგკლავს, არც იმიტომ კიდევ, რომ თითონ სოფელი და სოფლის გარემოება, მისი საეკონომიო და სოციალური ვითარება გაგიჭირებს საქმეს. ივლი, ივლი და ბოლოს ისევ კანცელარიას მიატან. ჯერ-ჯერობით ასეა საქმე და პირველად ჩვენ გაგვეხარდება, თუ შემცდარნი ვართ. ორ ნასწავლ მებაღეს ვიცნობდით. ბევრი იჩხირკედელავეს, მაგრამ ახში არა გამოვიდა-რა. ერთმა ქურდობა დაიწყო და მეორემ მით უშველა თავს, რომ ქალაქს მიატანა და იქ იშოვა უზრუნველი ლუკმა-პური. იმისი მაგალითიც-კი გვინახავს სოფლად, რომ ყმაწვილი სახელმწიფო ხარჯითა ყოფილიყოს სამეურნეო სასწავლებელში და მშობლებს არ დაეყენებინოთ იქ. ჩვენის სოფლურ ცხოვრების ვითარებით აიხსნება ის გარემოებაცა, რომ ჩვენში ბევრი სასოფლო სკოლებში სამსახურს თაკილობს, ხოლო კანცელარიაში გადამწერლობას - კი სულითა და გულით ეტანება.

როცა ყოველ ზემო ნათქვამს მიიღებს სახეში, ვგონებთ, პარადოქსად არავინ არ ჩასთვლის იმ აზრს, რომ ჩვენში სამეურნეო მოღვაწეობისათვის ჯერ ნიადაგის მომზადებაა საჭირო. პირველად უნდა მიღებულ იქმნას სხვა-და-სხვა ღონისძიება, რომ უკეთ გამოირკვეს მიწად მფლობელობის არეულ-დარეული და აწეწილი საქმეები, მერე უნდა ამაღლდეს უფრო საზოგადო განვითარება ერისა და თვით ნასწავლ აგრონომებსაც სამეურნეო ასპარეზზედ მოღვაწეობის სურვილი ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეთ გამჯდარი, რათა არავითარმა დაბრკოლებამ აღარ შეაშინოს.

აფხაზეთი ვ. გ—ე

---

# რუსეთი

რადგანაც დიდი სიმშილი ჩამოვარდა რუსეთში, ამის გამო საზოგადოება ამ ჟამად დიდის ყურადღებით ეკიდება საეკონომიო ცხოვრების საგნებს. უმთავრესად იმაზედ აქვთ ყურადღება მიქცეული, რომ ღონისძიება რამ აღმოაჩინონ სამიწად-მოქმედო მრეწველობის დამაბრკოლებელ მიზეზთა მოსასპობლად, რათა შემდეგში შეუძლებელი იყოს სიმშილის ჩამოვარდნა. სამიწად-მოქმედო მრეწველობის ერთ უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზთაგანი აწინდელი მიწად-მფლობელობის წესიაო, სამართლიანად ამბობს გაზეთი „День“-ი. გლეხები უმეტეს ნაწილად სალალო, იჯარით აღებულს მამულებზედ აწარმოებენ თავიანთს მეურნეობას და ამასთანავე მამული ძლიერ მოკლე ვადითაცა აქვთ აღებული სალალოდ, იჯარით; ხოლო ასეთი წესი მიწად-მფლობელობისა ძლიერ გამანადგურებელი და სულის შემხუთავია სასოფლო მეურნეობისა და ამიტომაც მთავრობა ყველგან სცდილობს, მოსპოს ასეთი წესი მიწად-მფლობელობისა. ასე გასინჯეთ, ინგლისშიაც-კი, სადაც მთავრობა იმ პოლიტიკას ადგია, რაც შეიძლება, სრულიად არ გაერიოს საზოგადოების საქმეებშიო, ამ საქმეს უყურადღებოდ არა სტოვებენ და, წინაღმდეგ თავის პოლიტიკისა, მთავრობა თავისით აწესიერებს ურთიერთობას მემამულეებისა და მამულის იჯარით ამღებლებისას, სცდილობს, რომ დიდის ხნით გასცენ ხოლმე მემამულეებმა იჯარით მამულები, რადგან, თუ ეს უმთავრესი პირობა დაცული არ იქმნა, გლეხი გულს არ დაუდებს მამულის გაკეთება-შემუშავებას და, პირიქით, სიქასაც გამოაცლის მამულს.

— მრავალი გუბერნია რუსეთისა ამ ჟამად ძლიერ უჩივის უწვიმობასა და გვალვას. მაგალითად, გაზეთ „Гражданинъ“-ის სიტყვით, ორიოლის გუბერნიის ელეცკის მაზრაში ხმელი ქარი ჰქრის და სიცხე ისეთი სდგას, თითქოს თიბათვეაო. ზოგან ჯეჯილები გადახნეს და კარტოფილი დასთესეს პურის მაგიერ. ერთი წვიმა რომ მოვიდეს, ჯეჯილებს გააცოცხლებს, მაგრამ ელიან და ამაოდ-კი. რაღაც ბოროტ-მეტყველი ამინდი სდგას. ასეთსა და ამაზედ უარესს ამბავს იწერებიან ბევრ სხვა გუბერნიიდგანაც.

# წვრილი ამბავი

ტბორში სტაროჩეხების და მლადოჩეხებს შეერთებული კრება ჰქონიათ და გადაუწყვეტიათ, რომ ორივე დასი შეერთდესო.

— რომადგან აუწყებენ „Figaro“-ს, რომ პაპას განზრახვა აქვს დაუკავშიროს საფრანგეთის ურჩი ეპისკოპოსებიო.

— „Temps“-ი იუწყება, რომ დაგომეის მეფე შეფოთდა, შეშინდა და მორიგებას არის მოწადინებულიო.

— მეფე ჰუმბერტის შტატში სახელმწიფო ქონება გაუფლანგავთ. ორი კარის-კაცი სამართალშია მიცემული.

— ამერიკის გაზეთების სიტყვით, ვიღაც მემამულე სიატლის ცოლს ლუზიაში ექვსი უმაწვილი ერთად უშობნია. ექვსავენი ვაჟები არიან და სულ ერთად 45 გირვანქას იწონენ. საკვირველი უფრო ის არის, რომ როგორც უმაწვილები, ისე დედა სრულიად ჯან-საღნი არიან და საშიში არა სჭირთ-რა.

— გერმანიის იმპერიისათვის ამ ჟამად გასაკუთრებულს რკინის გზის მატარებელს აკეთებენ. ამ მატარებლის გაკეთებისათვის სამა წლიწადი მოუხმარებიათ და 3.750,000 მარკამდე დახარჯავთ. მატარებელი სულ თორმეტის ვაგონისაგან შესდგება, რომელნიც ერთმანეთში შეერთებულნი არიან დერეფნებით. ვაგონი—წიგნთ-საცავი სხლებით არის მოფენილი. ერთი სასტუმრო ოთახის ატლასით არის შემკული და საუცხოო ავეჯეულობა ალაგია. სააუდიენციო ვაგონი მარმარილოს ლუსკუმებით არის გალამაზებული. სამსავე საწოლს ვაგონს პაწია ოთახებიცა აქვს გვერდზედ, სადაც საბ ნებლებია გამართული. მატარებელშივე გამართულია უშველებელი სამზარეულო და სხვა-და-სხვა სადგური ამალისა და მოსამსახურეთათვის.

— ვენის სახელმწიფოთა გაზეთების სიტყვით, დედათა კონგრესი ავსტრიაში 5, 6 და 7 ივნისს იქნება. პირველს დღეს კონგრესი დედათა განათლების საქმეს განიხილავს, მეორე დღეს—დედათა მოღვაწეობის ასპარეზის გაფართოების საქმეს და მესამე დღეს—დედათა საქმესვე მათდა პოლიტიკაში ჩარევის მხრივ. ამ უკანასკნელ საგნის განხილვის დროს კონგრესს რეიხსრატის დეპუტატი პერნერსტორფერიც დაესწრება. კონგრესს აზრად აქვს ერთად შეაერთოს მოღვაწეობა ავსტრიის განათლებულ ქალთა, რომ საერთო ღონით და ძალით დაეხმარონ როგორც ავსტრია-უნგრიაში დედათა ემანსიპაციის საქმეს.

— საფრანგეთის სოფელს ფერამხნისეს ბურგომისტრისაგან 15,000 მან. ქვეყლი ოქროს ფული მოუპარავთ. ქურდი ბევრი უძებნიათ, მაგრამ ამაოდ. მაშინ ბურგომისტრს ერთის ხერხისათვის მიუმართავს. გამოუცხადებია და მთელს სოფელში ხმა დაუყრია, რომ თუ ქურდი ნაქურდალს უკანვე არ დამიბრუნებს, ღვინოში წავალ, იქაურ გამოჩენილს მკითხავს გავკითხავ და მკვიტყვის, ვინც არის ქურდიო. მეორე დღესვე ბურგომისტრის საქათმეში შეუგდია თურმე ცრუმორწმუნე ქურდს ნაქურდალი ოქრო.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მაისი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა დადგენილობა სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა დაისაჯნენ სახელმწიფოს საიდუმლოების გამომჟღავნებელნი.

„Свѣтъ“-ს გაუგონია, მალე დასრულდება მეურნეობის დასახმარებელ სესხის საქმე და ამისი პროექტიც უკვე შემუშავებულიაო.

„С.-Петерб. Вѣд.“-ი იწერება, უკვე გამოარკვიეს რედაქცია გაუსყიდველ - გაუნაწილებელ მამუ-

---

იძულებულნი გამხდარან გაჰშორდნენ სოფელს და იცხოვრონ, როგორც-კი ეცხოვრება დევნილს. იაგო, კობა და ეფხია, წარმომადგენელნი გამრჯე მუშა ხალხისა, ანებებენ თავს შეჩვეულს საქმეს, ხელს იღებენ პატიოსან შრომისაგან, გავარდებიან ყაჩაღებად, მეცხვარის კომბლის მაგიერ თოფებს გადიგდებენ ზურგზედ და თავიანთს სიცოცხლეს ადამიანის სისხლის ღვრას ანდომებენ. თითონ მოხოვარა გლახაც-კი, ეს ჭადარით შემოსილი ადამიანი, კაცის მკვლელია და გნოლივით იმალება, მოშორებული თავისს ოჯახს, მოკლებული თავისს ქონებას. როგორ მომხდარა ასეთი საკვირველი ამბავი? რად დაეუნებებიათ თავი ოჯახის საქმეებისათვის? იქნება შრომის მოყვარეობა აკლდათ და განიზრახეს ნადავლით, ყაჩაღევით თავის გატანა? ან იქნება თვით ჩვენი ცხოვრება ჯერ ისეთი განუვითარებელი იყო, რომ კაცის-კვლა შეადგენდა დიდს ვაჟკაცობას, ქურდობა-ავაზაკობა საქებურად ითვლებოდა მის მიმყოლს, როგორც ბევრნი ჰფიქრობდნენ ქართველობის შესახებ წინად და დღესაც მხანი არიან იფიქრონ ასევე?

დაიწყეთ გლახადგან. ერთს დროს იგი შეძლებული მოხევე იყო, გამრჯე, შრომის მოყვარე. ჰყავდა ლამაზი ცოლი და სტკბებოდა თავის შრომის ნაყოფითა და ცოლის სიყვარულით. მაგრამ რაღაცაზედ გადაეკიდა იასაული და წამ და უწუმ ბეგარაზედ ატარებდა. ბოლოს ველარ მოითმინა ამდენი უსამართლობა იასაულისა, მოუვიდა მასთან ჩხუბი და კაი-კაებიც ურტყა. ამის გამო მდივანბეგმა სამის წლით ციხეში ჩააგდო გლახა. გლახას უპატრონოდ დაჰრჩა თავისი ახალგაზდა ცოლი, რომელსაც თვალი მოჰკრა მდივანბეგმა და ძალიანაც მოუვიდა ჰკვაში. იასაული შეადგა საწყალს ქალს და ურჩევდა—წადი მდივანბეგთან და სთხოვე, თორემ შენს ქმარს ციმბირში ჰკარგავენო.

— რო ვთხოვო, დაიხსნის?—ჰკითხა დედაკაცმა.

— ჰაი, ჰაი, რო დაიხსნის!...

ქალმა ვერ მიასწრო ოთახის კარებთან მისვლა, როდესაც იასაულები უკანიდგან მიეპარნენ, მოიტაცეს და ერთის თვალის დახამხამებაზედ შეიტახეს დიამბეგის ოთახში.

დიამბეგმა, რომელიც ბოლთას სცემდა და რაღაცა მღელვარებით მოელოდა ქალის მოყვანას, ერთბაშად გაიღიმა, უმეზავსად და საზიზღრად გაიზმორა.

— თქვენ წადით, კარგია. დაითხოვა იასაულები, რომელთაც საკმაო სამსახური გაუწიეს.

იასაულები გამოვიდნენ და პირუტყვს დარჩა საცოდავი ქალი, რომელიც მთლად კანკალებდა შიშისაგან და ვერ გამოერკვია თავისი უბედური მდგომარეობა. დიამ-ბეგი მივიდა, ჩაკეტა კარები და მიუბრუნდა ქალს, რომელსაც მოურიდებლად მოჰხვია მკლავები და ძალათი დასვა ტახტზედ... („მამის მკვლელი“, გვერ. 21—22).

როდესაც ხალხის ბედის ამ გვარმა გამგემ შეისრულა თავისი პირუტყვული წადილი და საზიზღარის ძალ-მომრეობით აჰხადა ქალს ნამუსი, სწორედ ამ დროს „გადაფრინდა“ ფანჯრიდგან ოთახში გლახა, გამოქცეული ციხიდგან. გლახამ ხმის ამოუღებლივ გაუპო თავი და იქვე მოჰკლა თავისი ცოლი, მერე გამოათრია ტახტის ქვეშიდგან მდივანბეგი, რომელიც დამალვას აპირობდა, გაუყარა ილლიის ქვეშ ხანჯალი და დასძახა: ღორი ხარ და ღორსავით მოგკლავო!

ამას შემდეგ გადაიკარგა გლახა თავის სოფლიდგან.

**

ასევე ძალა-უნებურად კაცის მკვლელები შეიქმნებიან იაგოცა და კობაც. შემდეგ ამათ მიეკედლება ეფხია, რომელსაც გული ევსება ცეცხლით, როდესაც ჰხედავს, რომ უწინდებური ნამუსი ადგილს უთმობს უსირცხვილობასა და უკაცობას. ეფხია ჰგრძნობს, რომ ველარ გაუძლებს ამ ცეცხლს, უთუოდ შემოაკვდება ვინმე დღეს იქნება თუ ხვალე და განიზრახავს წინადვე გაჰშორდეს ცოდვიანს სოფელს, რომ მეზობლის სისხლი არ მოიცხოს. ეს დარჩეული ახალგაზდები მისცემენ ურთიერთს ზურგს, თანხმად მოძღვრებისა, რომელიც გვეუბნება:

ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად.

გაიფიცებიან ძმად და გადიხვეწებიან მაჰმადიანებში, რომ მათის შემწეობით ჯავრი მაინც ამოიყარონ მტრისა და იქნება კიდეც დაიბრუნონ თავიანთის ქვეყნის დიდება, საშიშარს გზაზედ დამდგარი. რამდენად საშიშარი იყო ეს გზა, შეთქმულები კარგად ჰხედავდნენ, როდესაც თვით მათი კარის მეზობელი გირგოლა სრულებით აღარა ჰყურობდა თემის აზრს, ყოველ შემთხვევაში უწმაწურად იხსენიებდა თემობას და თვალი ეჭირა მარტო-ღა „ზაკუნ-კანონებისაკენ“, რომლის შემწეობითაც სულ ნაცარ-ტუტას აღენდა უპატრონო ხალხს. „მამის მკვლელში“ მკითხველი ნათლადა ჰხედავს, რამდენად მართალია დიდებულის პოეტის ღრმა აზრი, გამოხატული ამ ლექსით:

ქმნა მართლისა სამართლისა
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

ხოლო როდესაც სამართალი ვერ ადგას მართლიერების გზას და მისი წარმართვა დამოკიდებულია მოხელეზედ, რომელიც ხელმძღვანელობს გირგოლასთანა კაცების რჩევით და განუსაზღვრელად სარგებლობს მათის ავანჩავნობით, მაშინ თვით მშობელნი, ნამუსის პატრონნი და ქრისტეს მოსავნიც-კი იაგო, კობა და ეფხია ძმობას უწევენ მაჰმადიანებს და მათთან ერთად გაცოფებულნი იბრძვიან ქრისტიანთა წინააღმდეგ.

აი საგანი ამ ჩინებულის მოთხრობისა, რომელსაც ძალა-უნებურად ასე გაკვრით უნდა შევხებოდით სხვა-და-სხვა მიზეზის გამო.

სტ. ჰრელაშვილი

ლების ახალის კანონისათ: მაიორატად შეიძლება დაწესდეს ყოველი მამული 360 დესეტინაზედ არა ნაკლები, ხოლო ამაზე უდიდესი მამულები ან ერთიანად, ან მხოლოდ იმისი ნაწილი. მაიორატის დაწესების დროს, მამული შეიძლება გარდაეცეს ერთ-ერთს პირდაპირს მემკვიდრეთაგანს, სურვილისამებრ, ხოლო შემდეგ თაობის დროს ეძლევა უთუოდ უფროსს შვილს. დაგირავებულ მამულებისათვის მზრუნველობა დაწესდება, და როცა ნაწილ-ნაწილ ვალს გადიხდის, თან სამაიორატოდაც ჩაირიცხება.

ლოტრანგთა წმ. ანნას ეკკლესიაში გენერალ გრესსერის ანდერძს დაესწრნენ; ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, ნიკოლოოზ სერგეი და გიორგი მიხეილის ძენი, ჰერცოგი ევგენი ლეიხტენბერგელი, პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელი, უმეტესობა მინისტრთა, ელჩები გერმანიისა და საფრანგეთისა და დესპანნი ისპანიისა და ბავარიისა. გვამი მიცვალებულისა ალექსანდრე-ნეველის ლავრას საფლავზედ დაასაფლავეს.

**რიგა.** გუშინ საღამოს, თანადასწრებით გუბერნატორისა და ელჩებისა, გრაფმა ბობრინსკიმ გარდასცა კაპიტანს სპეკერს უმაღლესად ნაბოძები საჩუქარი—ძველებურ რუსულს გემოვნებაზე გაკეთებული ჩაის იარაღი ვერცხლისა, მინანქარ-მოვლებული. დღეს, ნაშუადღევს, გუბერნატორი სადილს გაჰმართავს ამერიკელ სტუმართათვის, ხოლო საღამოზედ წარმოდგენა გაიმართება ცირკს „კირკ“-ში; ხვალ სადილი ექმნება ქალაქის მოურავს და ხვალ საღამოს დანიშნულია სადღესასწაულო წარმოდგენა ცირკში.

დღეს რეიდზე წავიდა სახელმწიფო გემი „Стражъ“-ი წარჩინებულებითურთ, სამი საბირჟო გემი წარმომადგენელებითურთ ქალაქისა, ერობისა და ბირჟისა და 15 სხვა გემი ხალხითა და მუსიკით და დიდის მხიარულებით მიეგებნენ სტუმრების გემს „Connemauch“-ზე; რამდენმამე საზოგადოებამ რუსეთისამ პურ-მარილი მიართვა.

**ბერლინი.** „Norddeutsche Algemeine Zeitung“-ი უარჰყოფს იმ ამბავს, რომ ხონთქარი ავად არისო.

**ვენა.** ფიუნფკირხენის მახლობლად, სომოგაში საშინელი წვიმა მოვიდა; წყალი შევარდა ქვის ნახშირის მადნის მღვიმეებში და ოცი მუშა დაარჩო. მღვიმეებში წყალი 70 მეტრზედ დადგა.

3 მაისი

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულ კომიტეტის უკანასკნელ კრების დროს მოხსენებულ იქმნა, რომ კომიტეტის დაარსებიდგან აქამდე შეწირულება მოგვივიდა სულ 10.688,038 მანათი, ხოლო დაგვეხარჯა 8.274,470 მან. და გვაქვს ნაღდად 2.413,628 მან. ამ ფულიდგან უნდა დაიხარჯოს ცხენებზე 1.100,000 მ. კომიტეტმა სცნა, სულ, რაც კასსაში ფული გვაქვს, გვეყოფა უკვე გამორკვეულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ამიტომ 1 ივლისიდგან უნდა მოსპოს ეკკლესიებში შეწირულებათა შეკრება და სხვა-და-სხვა უწყებათა მოხელეების ჯამაგირიდგან ფულის დაჭერა დამშეულთა სასარგებლოდ. განკარგება მოახდინეს, რომ ამერიკიდგან გემით „Connemauch“-ის მოტანილი 250 ვაგონი პური ქველმოქმედ კაცებს დაურიგდეთ 17 გუბერნიაში დამშეულთათვის გასანაწილებლად. 25 აპრილიდგან 1 მაისამდე კომიტეტს შეწირულება მიუვიდა 27,271 მან. აქედგან 12,328 მანათი ფინანსთა სამინისტროს დაწესებულებათა მოხელეებმა შესწირეს.

„Новое Время“ იუწყება, გზათა მინისტრი ოდესასა და კიევში მიემგზავრება და აგრეთვე მდინარის გზებიც უნდა დაათვალიეროსო.

„С.-Петерб. Вѣд.“-ს გაუგონია: სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა მოხსენება იმის შესახებ, რომ მოისპოს ის წესი, რომლის ძალითაც შეუძლებელ მოვალედ ისინი ითვლებიან, ვისაც 1,500 მანათზედ ნაკლები ვალი არა აქვს.

„Бирж. Вѣд.“-ს გაუგონია, პურის სურსათის აღწერას თავი დაანებეს და იმის მაგიერ გუბერნატორებს მიეწერათ, რომ რაც შეიძლება ნამდვილი ცნობანი შეატყობინონ, უზრუნველ ყოფილია თუ არა ადგილობრივ პურით და ან მოჭარბებული პური მოიპოვება, რომ უფრო მალე გამოვიდეს ნება-რთვა საზღვარ გარედ პურის და განსაკუთრებით ხორბალის გატანისათ.

**რომი.** სამინისტრო შესდგა: ჯიოლიტტი დაინიშნა მინისტრ-პრეზიდენტად, შინაგან საქმეთა მინისტრად და ხაზინის სამინისტროს დროებით გამგებლად.

პეტერბურგის ბირჟა, 1 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,56 | 7,58 | — „ |
| ტფამოყნის კუპონები . | 151 | 152 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 238¼ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | 195 | 195 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. სად.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. სად.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეიძლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—45)

ARGUS DE LA PRESSE

*FONDE EN 1879*

Pour être sûr de ne pas laisser échapper un journal qui l'aurait nommé, il était abonné à l'Argus de la Presse, qui „lit, découpe et traduit tous les journaux du monde, et en fournit les extraits sur n'importe quel sujet“.

Hector Malot (zyte, p. 70 et 323).

L'Argus de la Presse fournit aux artistes, littérateurs, savants, hommes politiques, tout ce que paraît sur leur compte dans les journaux et revues du monde entier.

L'Argus de la Presse est le collaborateur indiqué de tous ceux qui préparent un ouvrage, étudient une question, s'occupent de statistique, etc, etc.

S'adresser aux bureaux de l'Argus, 155, vue Montmartre, Paris—Téléphone.

L'Argus lit 5,000 journaux par jour.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—7)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
**А. А. ТУТАЕВА.**

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее: ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალექსი თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნაყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე, ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—9)

## მაღაზია სარპინკებისა
(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაზოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჰრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—13)

## ახალი სტამბა
მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა

სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**


Дозв. ценз. Тифлисъ, 4-го Мая 1892 г

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.